
სამართლებრივი ტენდენციები

სამართლის განვითარება სამოსამართლო სამართლის მეშვეობით და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა

შალვა კავაშავილი*

2003 წლის 1-2 დეკემბერს თბილისში ჩატარდა მოსამართლეთა მეორე საერთაშორისო კონფერენცია თემაზე – „სამართლის განვითარება სამოსამართლო სამართლის მეშვეობით და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა“, რომელიც მოეწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ინიციატივითა და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) რეგიონალური პროექტის – „სამართლისა და იუსტიციის რეფორმები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში“ – ხელშეწყობით.¹

კონფერენცია მიზნად ისახავდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისა და გერმანიის სასამართლოების გამოცდილების ურთიერთგაზიარებას და ამის საფუძველზე საერთო მიდგომების შემუშავებას. გერმანიის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მოსამართლეთა გარდა, კონფერენციაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

1. სამართლის განვითარება სამოსამართლო სამართლის მეშვეობით (მოხსენებელი ლადო ჭანტურია)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე *ჭანტურია* თავის მოხსენებაში სამოსამართლო სამართლის მნიშვნელობაზე მიუთითებს. ისტორიულად კანონებს ძალიან დიდი მოთხოვნები წაყენებოდა. ისინი უნდა ყოფილიყვნენ ყოვლისმომცველი და ყველასთვის გასაგები, რათა ამით შესძლებოდათ მოსამართლის თითქმის შეუზღუდავი ძალაუფლების ერთგვარი შეზღუდვა. თუმცა ამგვარი მცდელობები უშედეგო აღმოჩნდა. ამის ძირითადი მიზეზი კი იყო ის, რომ რთულია ურთიერთობების რეგულირება საზოგადოების ყველა წევრისთვის გასაგებ ენაზე დანერგილი კანონებით.

თუმცა კანონის ტექსტის ერთგვაროვანი გაგება არა მხოლოდ ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვისაა რთული, არამედ სამართალმცოდნეებისთვისაც, რასაც თავისი ისტორიული მიზეზებიც გააჩნია. როგორ უნდა იქნეს, მაგალითად, თანამედროვე პირობებში გაგებული ნორმა, რომელიც ათწლეულების წინ არის შექმნილი?

დღესდღეობით გაბატონებულია აზრი, რომ კანონი გარკვეული ურთიერთობის იმგვარად მონესრიგების მცდელობაა, რომელიც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში აფიქრდება კანონმდებელს. მხოლოდ პრაქტიკას შეუძლია მოგვიანებით აჩვენოს, თუ რამდენად გამოდგა კანონის ესა თუ ის ნორმა. გარდა ამისა, იცვლება კანონის მიერ დარეგულირებული ურთიერთობები. კანონმდებელს არ შეუძლია კანონის მყისიერი შეცვლა, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს

* გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) პროექტის – „საქართველოს სასამართლო სისტემის მხარდაჭერა“ – კოორდინატორი.

¹ პროექტი დაარსდა 2001 წელს და წარმოადგენს გერმანიის ფედერაციის ეკონომიკის განვითარებისა და თანამშრომლობის მინისტრის, ქალბატონი ჰაიდმარ ვიჩორეკ-ცილიის „კავკასიის ინიციატივის“ იდეის ხორცშესხმას.

პრაქტიკულ მოთხოვნებს, რომ კანონი მოყვანილ იქნეს შესაბამისობაში ახალ გარემოებებთან. ეს პრობლემა წარმოშობს პრაქტიკულ კითხვას: როგორ უნდა შეივსოს კანონის ხარვეზი, რათა სასამართლომ შეძლოს დავის გადაწყვეტა?

ამ მდგომარეობიდან ყველაზე მარტივი გამოსავალი იქნებოდა არსებული სამართლებრივი მოწესრიგებისათვის დავის გადაწყვეტლად გამოცხადება. თუმცა ამგვარ სიტუაციას სამართლიანად აფასებენ როგორც მართლმსაჯულების გაკოტრებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, მოსამართლეს არ აძლევს ასეთი ტიპის გადაწყვეტილების მიღების უფლებას.

სასამართლოს გაკოტრების თავიდან ასაცილებლად, მოსამართლეს უნდა მიეცეს უფლება, განმარტების გზით ყველა შემთხვევაში გამოიყენოს კანონი; საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით, მოსამართლეები ვალდებულიც კი არიან, ამგვარად იმოქმედონ. იმავე შინაარსის ნორმა არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსშიც.

როდესაც კანონის განმარტება გრამატიკული განმარტების ფარგლებს სცლიდება და ლოგიკური ინტერპრეტაციის სფეროში გადადის, პრაქტიკაში ჩვენ უკვე საქმე გვაქვს ახალი ნორმის წარმოქმნასთან, რაც, ფაქტობრივად, კანონშემოქმედებას წარმოადგენს. თუ სამართლებრივი სისტემა ამას უშვებს, მაშინ ისიც უნდა განისაზღვროს, თუ ვის აქვს კანონის ინტერპრეტაციის უფლება. *ჭანტურია* მიუთითებს იმ რამდენიმე შესაძლებლობაზე, რომელიც პრაქტიკაში არსებობს:

ა) კანონის განმარტების უფლების დელეგირება რაიმე სპეციალური ორგანოსა თუ კომისიისათვის;

ბ) ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს აღჭურვა ქვედა ინსტანციის სასამართლოებისათვის სავალდებულო განმარტებების მიღების უფლებით. ეს სისტემა მიღებული იყო საბჭოთა კავშირში და დღემდე შემორჩა ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანას. ამგვარი კონცეფცია ეწინააღმდეგება კონტინენტური ევროპის სამოსამართლო სამართლის პრინციპებს და გარკვეულწილად მოსამართლის დამოუკიდებლობის შეზღუდვას;

გ) ყველაზე გავრცელებული პრაქტიკა მოსამართლისათვის კანონის განმარტების გზით სამართლის განვითარების ანუ კანონის შევსების უფლების მინიჭებაა.

ჭანტურიას აზრით, ძირითადი საკითხია იმის გადაწყვეტა, უნდა დადგინდეს თუ არა კანონის ინტერპრეტაციისას, რა მოსაზრებებითა და სურვილებით ხელმძღვანელობდა კანონმდებელი კონკრეტული ნორმის მიღებისას, თუ კანონს „საკუთარი სიცოცხლე“ აქვს. კონტინენტური ევროპის სამართლის პრაქტიკაში დიდი ხნის განმავლობაში უპირატესობა სწორედ კანონის შექმნის გარემოებების დადგენას ენიჭებოდა. პარლამენტის სხდომების ოქმებსა თუ სტენოგრაფიულ ჩანაწერებში ეძებდნენ რაიმე ხელმოსაჭიდ მასალას, რათა შესაძლებელი ყოფილიყო კანონის სწორი ინტერპრეტაცია. პირიქით, ისტორიული ტრადიციების გამო ინგლისში ეს პროცედურა არასდროს გამოიყენებოდა.

ბოლო ხანს გაბატონებულია აზრი, რომ კანონის ისტორია მისი განმარტებისთვის ნაკლებად გამოსადეგია, რამეთუ კანონის ნორმა აბსოლუტურად სხვა გარემოებებში გამოიყენება. სწორედ ამიტომ გაუმართლებელია ათწლეულების წინ მიღებული კანონის განსამარტავად იმ ისტორიული გარემოებების კვლევა-ძიება, რაც საფუძვლად ედო გარკვეული ნორმის მიღებას.

თანამედროვე კოდექსები უფლებას აძლევენ მოსამართლეებს, დავა გადაწყვიტონ არა მხოლოდ კანონის გრამატიკული განმარტების გზით, არამედ მისი ლოგიკური ინტერპრეტაციითაც.

კანონის განმარტება გულისხმობს კანონის ბუნდოვანი ნორმების ახსნასა და სიტყვის მნიშვნელობის დადგენას, რასაც აქვს თავისი პრინციპები, რომელთა დაცვის გარეშეც ინტერპრეტაცია თვითნებურ განმარტებას ემსგავსება. ეს პრინციპებია:

ა) ობიექტურობის პრინციპი: განმარტებას საფუძვლად უნდა ედოს კანონის სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობა, სწორედ მასზე დაყრდნობით უნდა მოხდეს კანონის არსის მაქსიმალურად სწორად დადგენა და შემდგომი განვითარება;

ბ) ერთიანობის პრინციპი: ყოველი ნორმა ნაკითხულ უნდა იქნეს ტექსტთან კავშირში და არა ტექსტიდან იზოლირებულად. კონკრეტული უნდა გამომდინარეობდეს ზოგადიდან და ზოგადი – კონკრეტულიდან;

გ) გენეტიკური განმარტების პრინციპი: ტექსტის განმარტებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მისი წარმომავლობა, კანონის შექმნის ობიექტური, ენობრივი, კულტურული, საზოგადოებრივი წინაპირობები და მისი ავტორების განსაკუთრებულობა;

დ) შედარებითი განმარტების პრინციპი: ამ პრინციპის მიზანია იმ კანონთა ტექსტების ურთიერთშედარება, რომლებიც ერთსა და იმავე სფეროში და ერთსა და იმავე დროს წარმოიშვა.

როდესაც ვსაუბრობთ სამართლის განვითარებაზე სამოსამართლო სამართლის მეშვეობით, გასათვალისწინებელია, რომ სამოსამართლო სამართლის სავალდებულოება რადიკალურად განსხვავდება კანონის ნორმათა სავალდებულოებისაგან. სამოსამართლო სამართლის ნორმა წარმოიშობა იმ მომენტში, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შედის. მისი მოქმედება იმით შემოიფარგლება, რომ სხვა სასამართლოები ანალოგიური დავის გადაწყვეტისას შეიძლება ხელმძღვანელობდნენ სასამართლო პრაქტიკაში უკვე არსებული გადაწყვეტილებით. თუმცა იგი სავალდებულო არ არის და, ამასთან, თვით სასამართლოებმაც შეიძლება გადაუხვიონ სამოსამართლო სამართლის ნორმებს. კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართალი არ იცნობს პრეცედენტულ სამართალს, განსხვავებით ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემისგან, რომელიც, ძირითადად, სწორედ სამოსამართლო სამართლის მეშვეობით ვითარდება. თუმცა, მიუხედავად ამგვარი რადიკალური განსხვავებისა კონტინენტური ევროპისა და ანგლოსაქსური სამართლის სისტემებს შორის, აშკარაა ის ღვაწლი, რაც სამოსამართლო სამართალმა შეიტანა ორივე სამართლებრივი სისტემის განვითარებაში. სწორედ ამ გარემოების გამო არის, რომ ორასი წლის წინ მიღებული საფრანგეთისა და ასი წლის წინ მიღებული გერმანიის სამოქალაქო კოდექსები კიდევ სიცოცხლისუნარიანები რჩებიან.

ის ფაქტი, რომ კანონები ბევრ კითხვაზე არანაირ ან მხოლოდ აბსოლუტურად გაუგებარ პასუხს იძლევიან, თანამედროვე სამართალში ბუნებრივ მოვლენად აღიქმება. უფრო მეტიც, კანონის არასრულყოფილება აუცილებლობადაც კი მიიჩნევა. სწორედ მოსამართლეა ის პირი, რომელიც უშუალოდ პრაქტიკაში აწყდება ამგვარ არასრულყოფილებას და რამეთუ მოვალეა გადაწყვიტოს ყოველგვარი დავა, მიუხედავად იმისა, არის იგი უშუალოდ დარეგულირებული კანონის ნორმით თუ არა, ნათელი ხდება ის აუცილებლობა, რასაც წარმოადგენს სამოსამართლო სამართალი სამართლებრივი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

2. ინტერპრეტაცია, ანალოგია და სამართლის განვითარება – სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლების ფაქიზი გამიჯვნა (მომხსენებელი როლფ კნიპერი)

GTZ-ის პროექტის – „სამართლებრივი რეფორმები გარდამავალ ქვეყნებში“ – ხელმძღვანელი, ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი კნიპერი თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ იურიდიულ მეთოდურ სწავლებასა და პრაქტიკაში დიდი სამოქალაქოსამართლებრივი კოდიფიკაციების პერიოდებიდან დღემდე კანონის განმარტებას, ანალოგიასა და მათი მეშვეობით სამართლის განვითარებას ყოველთვის ერთ-ერთი ცენტრალური და საკამათო ადგილი ეკავა. მოსაზრებები მოიცავს სპექტრს მოსამართლეთა კანონის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობისადმი მორჩილებიდან სამართალშემოქმედების ლეგიტიმაციაამდე. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ შემთხვევებში კანონის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებასაც კი ამართლებს.

პირველი მოსაზრება მომდინარეობს ჯერ კიდევ განმანათლებლობის ეპოქიდან და ეფუძნება მონტესკიეს ხელისუფლების დანაწილების შესახებ მოძღვრებას, რომლის მიხედვითაც, „რესპუბლიკურ ხელისუფლებაში თვით სახელმწიფო ფორმის ბუნებას მიეკუთვნება ის, რომ მოსამართლეები ემორჩილებოდნენ კანონის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას“. „მოსამართლეები არიან მხოლოდ ბაგეები, რომლებიც კანონის სიტყვას ახმოვანებენ, უსულო არსებანი, რომლებსაც არ შეუძლიათ არც კანონის სიძლიერისა და არც მისი სიმკაცრის შემცირება“.

თუმცა ამგვარი მიდგომა არ უნდა იქნეს განხილული მხოლოდ სამართლებრივი შემცენების პრობლემად, არამედ ყოველთვის დანახულ უნდა იქნეს ისტორიულად განპირობებული განსაკუთრებული საზოგადოებრივი პირობების ჩრჩობი.

იმ ეპოქაში, როდესაც ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები სტაბილურად არის დამკვიდრებული, ავტომატურად მცირდება უნდობლობა მოსამართლეების მიმართ. ამით იყო, ალბათ, განპირობებული ისიც, რომ უკვე მე-19 საუკუნის ბოლოს გერმანელი კანონმდებელი ამბობს იმას, რაც ადრეც ცნობილი იყო: „ვერანაირი კანონი ვერ იქნება იმდენად სრულყოფილი, რომ ყველა შესაძლო ურთიერთობისთვის უშუალოდ გამოსაყენებელ ნორმას გვთავაზობდეს“. შედეგად, გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო დღესდღეობით ღიად და დამაჯერებლად აღიარებს იმ ამოცანას, რაც მას გააჩნია დაწერილი კანონის საზოგადოების სოციალურ მოთხოვნილებებთან და მორალურ ფასეულობებთან შესაბამისობაში მოყვანის საქმეში. თუმცა იქვე ხდება იმის აღნიშვნა, რომ ამ საკითხს მოსამართლეები ყოველთვის ფაქიზად უნდა მოეპყრონ, რამეთუ, „რაც უფრო მეტად შორდებიან მოსამართლეები კანონის სიტყვას, მით უფრო მეტად იკლებს მათი ლეგიტიმურობა“. მოსამართლეებს ყოველთვის ნათლად უნდა ჰქონდეთ წარმოდგენილი, თუ „როდის იყენებენ ისინი კანონს, როდის ავითარებენ და როდის ასწორებენ მას, ანუ უარს ამბობენ კანონმორჩილებაზე“.

კნიპერის აზრით, ყველა ქვეყანაში, რომელიც ორიენტირებულია დემოკრატიაზე, ხელისუფლების დანაწილებასა და საბაზრო ეკონომიკაზე, და ეს განსაკუთრებით ეხებათ გარდამავალი ეკონომიკის სახელმწიფოებს, კანონებისა და ნორმატიული აქტების ინტერპრეტაცია სასამართლოთა მთავარი პროფესიონალური ამოცანა უნდა იყოს. თუმცა იქვე დასძენს, რომ კანონის განმარტებით და ანალოგიით სასამართლო შედის იმ ტერიტორიაზე, რომელიც ე.წ. „დანალმულ სასაზღვრო ზოლად“ ითვლება საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას შორის. მოსამართლე მხოლოდ მაშინ შეძლებს ამ ზოლში წარმატებით და უვნებლად მოძრაობას, თუ ის კანონის განმარტების მეთოდოლოგიას უფრო კეთილსინდისიერად დაიცავს და თავისი გადაწყვეტილების საფუძვლებს უფრო გამჭვირვალედ ახსნის. იმისათვის, რომ ანალოგია გამართლებული იყოს, ნამდვილად უნდა არსებობდეს კანონის ხარვეზი და მისი აღმოფხვრა შესაძლებელი იყოს მხოლოდ იმ მეთოდებით, რომლებიც კანონთა სისტემატიკაში თავსდება. შედეგი არ უნდა იყოს პოზიტიური სამართლის ფარგლებს გარეთ. იმგვარი გამონათქვამების მოშველიება, როგორებიცაა: „საქმის ბუნება“, „ფასეულობათა ცვლა“, „ბუნებითი სამართლის პრინციპები“, როგორც წესი, მხოლოდ იმას ემსახურება, რომ ზოგიერთი მოსამართლის სუბიექტური წარმოდგენა ფასეულობების შესახებ უფრო მაღლა იქნეს დაყენებული საპარლამენტო უმრავლესობის სუბიექტურ წარმოდგენაზე, მაშინ, როცა მხოლოდ უკანასკნელი არიან არჩევნების მეშვეობით უფლებამოსილნი, იხელმძღვანელონ თავიანთი სუბიექტური მოსაზრებებით.

ბოლოს, კნიპერი ასკვნის, რომ პანაცეა არა იმდენად სასამართლოებისთვის კანონთა ინტერპრეტაციის ფართო ასპარეზის მიცემა ან არმიცემაა, არამედ იმის გათვითცნობიერება, რომ აუცილებელია სამივე ხელისუფლებას შორის ამოცანების ფაქიზად განაწილება და ურთიერთობათა მუდმივი განახლება ურთიერთპატივისცემაზე, თავდაჭერილობასა და თვითდაჯერებულობაზე დაყრდნობით.

3. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა მოსახლეობის ლარები ფენებისთვის (მომხსენებლები: ვინფრიდ როთვაილერი, მაია მწარიაშვილი, მამუკა მამალაძე, ვიდადი მირკამალი, ვართანოვანესიანი)

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი კრძალავს უფლების ერთპიროვნულად და ძალადობით განხორციელებას. ყოველი სადავო საკითხი სასამართლოში უნდა გადაწყდეს. აქედან გამომდინარეობს ის, რომ სახელმწიფომ სასამართლო ყველასთვის არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც ხელმისაწვდომი უნდა გახადოს. ყოველი დემოკრატიული სახელმწიფო კონსტიტუციურ გარანტიას აძლევს პირებს, მიმართონ თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად სასამართლოს და, ამასთან, უზრუნველყოფს მათ თანასწორობას კანონისა და სასამართლოს წინაშე, მიუხედავად ქონებრივი მდგომარეობისა.

ის, თუ რა ფორმით განახორციელებს სახელმწიფო ამგვარ გარანტიებს, კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლის განსაზღვრია. პრაქტიკაში არსებობს ამის მრავალი მოდელი, დაწყებული სავალდებულო დაზღვევიდან უფასო პროცესებით დამთავრებული, ანუ სახელმწიფოს მიერ ყველა სასამართლო და სასამართლოსგარეთა ხარჯების გაღება პროცესის ყოველი მონაწილისთვის.

როგორც მოხსენებებიდან გაირკვა, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში დაახლოებით ერთი და იგივე მოდელი მოქმედებს. მოსახლეობის ზოგიერთი სოციალურად ნაკლებად დაცული ფენა სრულიად განთავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟისაგან. ასე მაგალითად, საქართველოში სახელმწიფო ბაჟისაგან თავისუფლებიან: შეზღუდული შესაძლებლობის პირები, მათი საჯარო ორგანიზაციები, ასევე სასწავლო დაწესებულებები და გაერთიანებები. ასევე ბაჟისაგანაა განთავისუფლებული გარკვეული ტიპის სასარჩელო განცხადებები, როგორებიცაა, მაგ.: სარჩელი ალიმენტის გადახდევინების, შრომითი პირობების დარღვევის, უკანონოდ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის შესახებ. მსგავსი შეღავათები არის დაწესებული სომხეთის კანონმდებლობითაც.

გარდა ზემოთ ხსენებული კანონით დადგენილი პირთა წრისა და სარჩელის შინაარსისა, სამივე სამხრეთკავკასიური ქვეყნის კანონმდებლობა უფლებას აძლევს მხარეს, შევიდეს სასამართლოში სახელმწიფო ბაჟისგან სრულად ან ნაწილობრივ განთავისუფლების, ან მისი გადახდის გადავადების შუამდგომლობით. სასამართლოს შემდგომ შეუძლია, მხარის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით, დააკმაყოფილოს შუამდგომლობა, ან უარი უთხრას მის დაკმაყოფილებაზე.

სახელმწიფო ბაჟი სამოქალაქო დავაზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ინსტანციების მიხედვით მერყეობს სადავო საგნის 2 %-დან 4 %-მდე.

რაც შეეხება სახაზინო წესით დანიშნულ ადვოკატს და უფასო იურიდიულ კონსულტაციას, სამივე ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს სახაზინო წესით ადვოკატის დანიშვნას სისხლის სამართლის საქმეზე, მაგრამ არა სამოქალაქო სამართლის საქმეზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივარს მხოლოდ ადვოკატთან ერთად განიხილავს. აზერბაიჯანის საკონსტიტუციო სასამართლომ 2002 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ, ვინაიდან საკასაციო საჩივრის საფუძველზე საქმის განხილვა მხოლოდ ადვოკატის თანდასწრებით არის შესაძლებელი, გამოყენებულ უნდა იქნეს იგივე ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ სახაზინო წესით ადვოკატის დანიშვნას სისხლის სამართლის საქმეზე, რათა დაცულ იქნეს მწირშემოსავლიან მოქალაქეთა უფლებები. თუმცა, *მირკამალის* განცხადებით, საკანონმდებლო ცვლილება ამ კუთხით ჯერ არ მიღებულა.

შინაარსობრივად სხვანაირი სიტუაციაა გერმანიაში. იქ მოქმედებს ე.წ. „პროცესის ხარჯების შემწეობის“ სისტემა. ამგვარი დახმარების მიღებისათვის არსებობს ორი წინაპირობა: 1. მოდავე მხარეს არ გააჩნია ფინანსური შესაძლებლობა, რათა აწარმოოს პროცესი და 2. სასამართლოს შეფასებით მხარეს უნდა ჰქონდეს წარმატების შანსები.

შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მხარე თავისუფლდება სასამართლო ბაჟისა და ადვოკატის ჰონორარის გადახდისაგან. ორივე ხარჯი იფარება სახელმწიფოს ბიუჯეტიდან. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ მხარე წააგებს პროცესს, იგი, მართალია, თავისი ხარჯებისაგან კვლავ თავისუფალია, მაგრამ ვალდებულია, მოწინააღმდეგე მხარეს აუნაზღაუროს ყველა დანახარჯი.

4. კონფერენციის მონაწილეთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები

კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენებებისა და გამართული დისკუსიების საფუძველზე შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. უნდა ქვეყნებოდეს უმაღლესი სასამართლოების გადანყვეტილებები. ეს განსაკუთრებით აუცილებელია ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და მისი განვითარებისათვის, სასამართლო პრაქტიკის გამჭვირვალობისა და მოსახლეობის მხრიდან მისი აქცეპტირებისათვის;
2. კანონთა განმარტება მიეკუთვნება ყველა ინსტანციის მოსამართლეთა ძირეულ ამოცანას. ამ ამოცანის განსახორციელებლად მოსამართლეები უნდა ფლობდნენ კანონის განმარტების მეთოდებს;
3. საკანონმდებლო ინიციატივა არ არის სასამართლოთა ამოცანა;
4. ყოველ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თავისი ძირითადი უფლებების დარღვევისას მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, თუმცა ის არ უნდა იქცეს ზესაკასაციო ინსტანციად;
5. სასამართლოში შესულ საქმეთა განაწილება უნდა ხდებოდეს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით და არა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს თავმჯდომარის გადანყვეტილებით;
6. ადვოკატურა უნდა ჩამოყალიბდეს როგორც დამოუკიდებელი, არასახელმწიფო ორგანო. ამ მიზანს ემსახურება თანამედროვე კანონები ადვოკატურის შესახებ, რომლებიც რაც შეიძლება სწრაფად უნდა განხორციელდეს ცხოვრებაში;
7. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მოსახლეობის ღარიბ ფენებს არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც შეეძლოთ მიმართონ სასამართლოს. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა არ უნდა შეიზღუდოს ფინანსური მდგომარეობის გამო.